ხელშეკრულება № 18091	შპს “ინტერკო თრეველი”
ტურისტული პაკეტით მომსახურების შესახებ	
საქართველო, ქ. თბილისი	
19.02.2018 06:14:04	

ერთის მხრივ შპს „ინტერკო თრეველი“ (შემდგომში „ტუროპერატორი“) წარმოდგენილი

სახით მიერ და მეორეს მხრივ

MS NINO MAMALADZE (შემდგომში „ტურისტი“) მხარეთა ორმხრივი ინტერესებიდან გამომდინარე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ტურისტი ავალებს, ხოლო ტუროპერატორი კისრულობს ვალდებულებას, წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობებითა და წესით გასწიოს ტურისტული მომსახურება.

1.2. ტურიზმის ქვეყანა: Egypt

1.3. ტურიზმის ადგილმდებარეობა: Sharm El Sheikh

1.4. ტურისტული მომსახურების განხორციელების ვადებია: ჩათვლით. 07.03.2018 - 11.03.2018

1.5. ტურისტები მოცემული ხელშეკრულების მიზნებისთვის არიან:

სახელი, გვარი, პირადი №, დაბ.თარიღი

სახელი, გვარი, პირადი №, დაბ.თარიღი

1. MS NINO MAMALADZE, DOB: 1974-03-09, PIN: 1
2. MS TEA PERTAIA, DOB: 1975-08-15, PIN: 1

Barceló Tiran Sharm (Ex. Tiran Island Hotel)

1.6. სასტუმრო:

2. **მომსახურების ღირებულება, ანგარიშწორების წესი.**

2.1. ტურისტი ვალდებულია ტურისტული საგზურის (პაკეტის) შესყიდვის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიიღების შემდეგ გააკეთოს ჯავშანი და გადაიხადოს ტურისტული საგზურის შესყიდვისთვის ავანსი 30%-ის ოდენობით. ტურისტული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენ 788.00 აშშ დოლარს (მინიმალური გადასახდელი თანხა ავანსის სახით შეადგენს 394.00 აშშ დოლარი შესაბამისი კურსით ლარებში). წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებულია, რომ მომსახურების ყველა საზღაური მხარეთა შორის განისაზღვრება აშშ. დოლარის ან ევროს ექვივალენტით ლარებში, გადახდის მომენტისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ შესასყიდ კურსს +2%. ანგარიშსწორების სახეა როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო წესით, ტურისტის სურვილის შესაბამისად.

2.1.1. თანხის ნაწილობრივი გადახდის შემთხვევაში ტურისტის დავალიანება ტუროპერატორის წინაშე განისაზღვრება აშშ დოლარში, რომლის ექვივალენტიც ცალკე დაანგარიშდება კონკრეტული გადახდის მომენტისათვის არსებული ეროვნული ბანკის სავალუტო შესასყიდი კურსის ზედა ზღვარს +2%-ის მიხედვით.

2.2. ანგარიშსწორება ტურისტსა და ტუროპერატორს შორის წარმოებს შემსრულებლის სალაროს შემოსავლის ორდერის, ბანკის მიერ დამოწმებული სალაროს შემოსავლის ორდერით რაც ადასტურებს ტურისტის მიერ ტუროპერატორის საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანის ფაქტს ან გადარიცხვას ბანკის მიერ დამოწმებული საგადახდო დავალების მეშვეობით ტუროპერატორის ანგარიშზე. გადახდის თარიღად ითვლება ტურისტის მიერ შემსრულებლის სალაროში ან შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე ფულის ჩარიცხვის დღე.

2.3. ტურისტული მოგზაურობის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა ტურისტი ვალდებულია გადაუხადოს ტუროპერატორს ტურის მთლიანი საფასური.

ტუროპერატორი: _____ ტურისტი: _____

2.4. ვალუტის კურსების მნიშნელოვანი ინფლაციის პირობებში, ტუროპერატორი უფლებამოსილია დააწესოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში ტურისტი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების გაზრდილი ფასი, რაც აუცილებელი იქნება ტურის დამატებითი ხარჯის დასაფარად.

3. **განსაკუთრებული პირობები**

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ტურისტი ადასტურებს, რომ შემსრულებლის მიერ გაფრთხილებულია შემდეგზე: იმ შემთხვევაში, თუ ტურისტი უარს განაცხადებს ტურისტული მომსახურებით სარგებლობაზე მას შემდეგ, რაც მან გადაიხადა მომსახურების სრული (ან ნაწილობრივი) საფასური და ტუროპერატორს გაწეული აქვს პაკეტის მომსახურებისათვის გამიზნული შესაბამისი ხარჯები ტუროპერატორი დააკავებს საკომისიოს ამ მუხლით შეთანხმებული წესით, ხოლო დანარჩენ თანხას დაუბრუნებს ტურისტს, რაზედაც ტურისტი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს წინასწარ თანხმობას. საკომისიო დაკავდება შემდეგი წესით:

3.2. ტურისტის მიზეზით საკურორტო ქალაქების მიმართულებით შესრულებული ტურის გაუქმების შემთხვევაში მასზე გავრცელდება შემდეგი საჯარიმო სანქციები:

3.2.1. ტურის დაწყებამდე 9 სამუშაო დღით ადრე - ფიქსირებული ჯარიმა თითოეულ მგზავრზე 65 აშშ დოლაის ოდენობით;

3.2.2. ტურის დაწყებამდე 8-5 სამუშაო დღით ადრე ტურის ღირებულების 25%;

3.2.3. ტურის დაწყებამდე 4-2 სამუშაო დღით ადრე ტურის ღირებულების 50%;

3.2.4. ტურის დაწყებამდე 24 საათით ადრე ტურის ღირებულების 75%;

3.2.5. ტურის დაწყების შემდეგ გაუქმება - ტურის ღირებულების 100%.

3.2.6. ყოველი კონკრეტული ტურის მიხედვით შესაძლოა განისაზღვროს გაუქმების სპეციალური პირობები.

3.2.7. წინასწარ გაუთვალისწინებელი შემთხვევევის არსებობისას, როდესაც სასტუმროს ან ავიაკომპანიის მოთხოვნით იზრდება ჯარიმის ოდენობა, შესაძლებელია ტურისტი დაჯარიმდეს გაზრდილი ოდენობის ჯარიმით, რის შესახებაც მას უნდა ეცნობოს წინასწარ.

3.2.8. დაუშვებელია ტურისტის მიერ ნაადრევი ჯავშნის ცვლილება, ხოლო მის მიერ ნაადრევ ჯავშანზე უარის თქმის შემთხვევაში ტუროპერატორი ჯარიმის სახით იტოვებს, ტურისტის მიერ გადახდილი თანხის 100%.

3.2.9. ნებისმიერი ტურის გაუქმების შემთხვევაში ტურისტი ვალდებულია გადაიხადოს ავიაბილეთის გაუქმების ღირებულება, რომელიც ფიქსირებულად შეადგენს თითო მგზავრზე 65 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, გადახდის დღისათვის არსებული ტუროპერატორის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად. ეს პირობა ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ ტური გაუქმდა 8 სამუშაო დღით ადრე და ტურაგენტისთვის დადგენილი საჯარიმო სანქცია ნაკლებია ტურის მონაწილე თითოელ მგზავრზე გადასახდელი 65 აშშ დოლარისა.

3.2.10. აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტისგან განსხვავებით სხვა ნებისმიერი პროდუქტის გაუქმების პირობები განისაზღვრება ინდივიდუალურად.

3.2.11. ტურისტისათვის თანხის დაბრუნება წარმოებს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების სახით, მის მიერ ტუროპერატორისათვის მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

3.3. ტურისტული პაკეტის თარიღის ცვლილება:

3.3.1. ტურისტისს მხრიდან ტურისტული პაკეტის თარიღის ცვლილება რეისის შესრულებამდე 3 დღეზე ნაკლებ ვადაში გამოიწვევს ტურისტის დაჯარიმდება ფიქსირებული 30 აშშ დოლარით თითო ტურისტზე და დამატებით სასტუმროს 2 ღამის ღირებულებით, რომელსაც დაადგენს ტუროპერატორი;

3.3.2. ტურისტის მხრიდან ტურისტული პაკეტის თარიღის ცვლილება რეისის შესრულებამდე 3 დღეზე მეტი ვადით ადრე გამოიწვევს ტურისტის დაჯარიმებას თითო მგზავრზე 30 აშშ დოლარის ოდენობით;

3.3.3. იმ შემთხვევაში თუ 5.5.1 და 5.5.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ტურისტული პაკეტის თარიღის ცვლილება დამატებით იწვევს ავიაბილეთის კლასთა შორის სხვაობას, მაშინ ტურისტი ვალდებულია ასევე აანაზღაუროს ეს კლასთა შორის სხვაობა.

3.4. ტურისტი ვალდებულია გაითვალისწინოს შემდეგი პირობები:

3.4.1. თვითმფრინავში მოწევა ნებისმიერ დროს სასტიკად აკრძალულია;

3.4.2. თვითმფრინავში ალკოჰოლური სასმელები არ გაიცემა;

3.4.3. მგზავრი პასუხისმგებელია ნებისმიერი ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც გამოწვეულია მისი ბრალეული ქმედების შედეგად ეკიპაჯის მიერ გახმოვანებული ინსტრუქციის და გაფრთხილებების შეუსრულებლობით;

ტუროპერატორი: _____ ტურისტი: _____

3.4.4. მგზავრის მხრიდან დაუმორჩილებლობის შემთხვევაში თვითმფრინავის დანიშნულების ადგილზე ჩასვლის შემდეგ ინფორმაცია გადაეცემა პოლიციას რომელიც იხელმძღვანელებს ადგილობრივი სამართლის ნორმების გამოყენებით.

3.5. უცხო ქვეყნის საიმიგრიციო ან საკონსულო არის საქართველოსა და მისი კანონმდებლობისაგან დამოუკიდებელი დიპლომატიური სტრუქტურა და მათ ტერიტორიაზე ვრცელდება მხოლოდ იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. საკონსულოების უარყოფითი გადაწყვეტილება არ საბუთდება საერთაშორისო კანონმდებლობიდან გამომდინარე, შესაბამისად ტუროპერატორი არ აგებს პასუხს საკონსულოების მიერ მიღებულ უარყოფით გადაწყვეტილებაზე.

3.6. ტუროპერატორი არ აგებს პასუხს შემდეგზე:

3.6.1. ბარგის დაკარგვა, დაზიანება ან ბარგის აღების შეყოვნება აეროპორტში;

3.6.2. პირადი ნივთების ან სხვა საჭირო დოკუმენტაციის დაკარგვა;

3.6.3. პრობლემები, რაც შესაძლოა შეექმნათ ტურისტ(ებ)ს მესაზღვრეებთან, მებაჟეებთან, პოლიციასთან და სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან.

3.6.4. ტურისტთა მიერ ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები;

3.6.5. მესამე პირის მიერ მიყენებული ზიანი;

3.6.6. აეროპორტში, რეგისტრაციის დროს ტურისტთა დაგვიანება;

3.6.7. ტურისტის მიერ მიმღები ქვეყნის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ტრანსპორტში ან სხვა ადგილებში ქცევის წესების დარღვევაზე ან მსგავსი ქმედებით გამოწვეულ შედეგზე.

3.7. ტუროპერატორი არ წარმოადგენს გადამზიდველს და არ იღებს პასუხისმგებლობას შემდეგ ქმედებებზე: ავიარეისის დაგვიანება, სამგზავრო ბორტის შეცვლა, ავიარეისის განრიგის დარღვევა და ა.შ. (ავიაგადაზიდვები წარმოებს ტვირთზიდვის საერთაშორისო წესის თანახმად, რაც მითითებულია ავიაბილეთში).

4. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი:**

4.1. ტუროპერატორი უფლებამოსილია:

4.1.1. მოსთხოვოს კლიენტს ტურისტული მომსახურების საფასურის ანაზღაურება არაუგვიანეს მე-2 მუხლში მითითებული ვადებისა; წინააღმდეგ შემთხვევაში უარი განაცხადოს ამ ხელშეკრულებაში მითითებული ტურისტული მომსახურების გაწევაზე.

4.1.2. თუ მოგზაურობის დაწყებამდე კლიენტი მოითხოვს ამ ხელშეკრულებაში მითითებული ტურისტის ნაცვლად მესამე პირის მონაწილეობას, უარი განუცხადოს კლიენტს, თუ ეს პირი არ აკმაყოფილებს მოგზაურობისათვის აუცილებელ პირობებს ან მოითხოვს კლიენტის იმ დამატებითი ხარჯების ანაზღაურებას, რომელიც გამოწვეული იყო მოგზაურობაში მესამე პირის მონაწილეობით. ამ შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები გაფორმდება წერილობით და ხელმოწერილ იქნება ორივე მხარის მიერ. ტურისტულ პაკეტში ტურისტის ცვლილების შემთხვევაში ტუროპერატორი აჯარიმებს ტურისტს 65 აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში.

4.2. ტუროპერატორი ვალდებულია:

4.2.1. შეთანხმებული განაცხადის საფუძველზე წარუდგინოს ტურისტს ტური, რომელიც გონივრულ ფარგლებში შეესაბამება ტურისტის მოთხოვნებსა და როგორც საქართველოში, ასევე მიმღებ ქვეყანაში მიღებულ წესებს.

4.2.2. წარუდგინოს ტურისტს აუცილებელი და საიმედო ინფორმაცია ტურის შესახებ და პრინციპულ საკითხებზე ტურისტული მოგზაურობის დროს, რაც გამოიხატება სამოგზაურო ქვეყნის თავისებურებაზე, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე, რომელთა დაცვა აუცილებელია ტურისტთა უსაფრთხოებისთვის. ტურის ორგანიზების პროცესში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე შეატყობინოს გონივრულ ვადაში.

4.2.3. მაღალაქტიური სეზონის პირობებში, მიმღების ქვეყნის სასტუმროს მიერ ადგილის ხელმეორედ გაყიდვის შევთხვევაში, ტუროპერატორმა შესთავაზოს სხვა სასტუმროში განთავსება, რომელიც კლასით და საცხოვრებელი პირობებით შესაბამისობაშია თავდაპირველ სასტუმროსთან.

4.3. ტურისტი უფლებამოსილია:

4.3.1. მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

4.4. ტურისტი ვალდებულია:

4.4.1. ტუროპერატორის მოთხოვნის შესაბამისად წარადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი ან/და საბუთი ტუროპერატორის მიერ მითითებულ ვადაში. ზუსტად დაიცვას ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობები.

ტუროპერატორი: _____ ტურისტი: _____

4.4.2. განახორციელოს ყველა მოქმედება საკუთარი ხარჯით, რომელიც აუცილებელია სამოგზაურო დაზღვევის მიღებასთან დაკავშირებით. ტუროპერატორი იხსნის პასუხისმგებლობას ყველა შემთხვევაზე რომელიც წარმოიშობა ტურისტული პაკეთ სარგებლობის დროს.

5. **პრეტენზიები**

5.1. ტურის მიმართ რაიმე პრეტენზიის ან სადაო საკითხის არსებობის შემთხვევაში, ტურისტი ვალდებულია მიმართოს სასტუმროს ადმინისტრაციას ან დაუკავშირდეს ტუროპერატორს.

5.2. ადგილზე პრობლემის მოუგვარებლობისას , ტურის დასრულებიდან ერთ თვეში, ტურისტი უფლებამოსილია მიმართოს ტუროპერატორს საფუძვლიანი პრეტენზიით, რაც უნდა დასაბუთდეს დოკუმენტალურად და წარმოადგინოს პრეტენზიის დამადასტურებელი დოკუმენტები: ქვითრები, ანგარიშები, ფოტოები და სხვ.

5.3. ოქმი, ყველა იმ ნაკლზე, რაც ეხება ტურისტულ მომსახურებას, დგება წერილობით, მიმღებ ქვეყანაში ნაკლის აღმოჩენის ადგილზე, რაც დასტურდება ტურისტის, სასტუმროს ადმინისტარაციის ან/და შემსრულებლის მიერ გაგზავნილი წარმომადგენლის ხელმოწერებით და ბეჭდების/არსებობისას/, ოქმის ორიგინალს იტოვებს ტურისტი.

5.4. პრეტენზიის წინა პუნქტში მითითებული წესით გაფორმებისას და მისი დოკუმენტალურად დასაბუთებისას, პრეტენზია განიხილება დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 დღეში. ფორმის დარღვევით ან დაუსაბუთებელი პრეტენზიები განხილვას არ ექვემდებარება.

6. **ფორს-მაჟორი**

6.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოქმნილი გაუთვალისწინებელი ისეთი მოვლენები, რაც შეუძლებელი იყო გაეთვალისწინებინათ წინასწარ, (ფორს-მაჟორი), რაც გავლენას ახდენს ხელშეკრულების შესრულებაზე ან ტურის საფასურის დადგენაზე ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებმა დაუყონებლივ უნდა ჩააყენონ საქმის კურსში ერთმანეთი მისაღები პასუხისმგებლობისაგან. თუ ფორს-მაჟორი განვითარდა ტურისტის მიმღებ ქვეყანაში ყოფნისას, ტუროპერატორი მიმართავს ყველა ღონისძიებას მისი დაბრუნების მიზნით, ასეთ შემთხვევაში დაბრუნების დამატებით ხარჯებს გადაიხდის ტურისტი.

7. **დავის გადაწყვეტის წესი და სხვა პირობები**

7.1. ყველა სადაო საკითხი, რაც წარმოიშვება მხარეთა შორის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით, კეთილი ნების გამოხატულებით, თუ სადაო საკითხი არ მოწესრიგდება ამ გზით, მაშინ მას განიხილავს სასამართლო ტუროპერატორის ადგილსამყოფელის მიხედვით.

7.2. ყოველი საკითხი, რაც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, წესრიგდება საერთაშორისო ან/საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერიდან და მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე. ყველა ცვლილება და დამატება შეიტანება მხოლოდ წერილობით, მხარეთა ხელმოწერით. ისინი /არსებობისას/ განიხილებიან როგორც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილები და მოქმედებენ მასთან ერთად. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:	
ტუროპერატორის სახელით: შპს "ინტერკო თრეველი" იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ი.აბაშიძის ქ.#17 ს/კ: **405036928**	ტურისტი: NINO MAMALADZE პირადი ნომერი: 0101026000859 დოკუმენტის ნომერი: 11BB40566 მის:

ტუროპერატორი: _____ ტურისტი: _____